

ოქმი

“ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ”

ერთი მხრივ, „ენერგეტიკული გაერთიანება“, „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელი ხელშეკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) თანახმად,

და, მეორე მხრივ, საქართველო,

ითვალისწინებენ რა, „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ საქართველოს გაწევრიანების თაობაზე გამართულ მოლაპარაკებების შედეგს,

ითვალისწინებენ რა, „ენერგეტიკული გაერთიანების“ მინისტრთა საბჭოს 2016 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებას საქართველოს “ენერგეტიკულ გაერთიანებაში” გაწევრიანების თაობაზე (გადაწყვეტილება 2016/18/MC-EnC),

ითვალისწინებენ რა, რომ საქართველო არ არის პირდაპირ დაკავშირებული ხელშეკრულების ხელმომწერ რომელიმე მხარისა ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ენერგეტიკულ ქსელთან, და რომ საჭიროა სპეციფიური მიდგომების განსაზღვრა გაზის გადამცემი მთავარი ინფრასტრუქტურის რეგულირების კუთხით, რომელიც ძირითადად გამოიყენება საქართველოს გავლით გაზის ტრანსპორტირებისათვის,

ითვალისწინებენ რა, რომ საქართველო 2007 წელს გახდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამკვირვებელი, გაზის გადამცემი ინფრასტრუქტურის მართვის პირობებზე მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. საქართველო უერთდება „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებას, როგორც ხელშემკვრელი მხარე იმ პირობებისა და წესების გათვალისწინებით, რომელიც ასახულია მოქმედ პროტოკოლში.
2. თუ მიერთების თარიღისთვის სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული პროტოკოლში, საქართველო ისარგებლებს ხელშემკვრელი მხარისათვის მოქმედი ყველა უფლებით და დაეკისრება ყველა ვალდებულება, რომელსაც ითვალისწინებს ხელშემკვრელი მხარეებისთვის ხელშეკრულება და ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიზნით მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და პროცედურული აქტები, მისი ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 2

1. „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელი ხელშეკრულების II ნაწილთან და მასთან დაკავშირებულ დანართებთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით, „ენერგეტიკული გაერთიანების“ კანონმდებლობის (acquis communautaire) იმპლემენტაციის ვადებზე განრიგი განისაზღვრება შემდეგნაირად:

დირექტივა N 2009/73/EC ბუნებრივი აირის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ, რომლითაც გაუქმდა დირექტივა N 2003/55/EC	2020 წლის 31 დეკემბრისთვის
რეგულაცია (EC) N 715/2009 ბუნებრივი აირის გადამცემ ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC) N 1775/2005	2020 წლის 31 დეკემბრისთვის
დირექტივა N 2004/67/EC ბუნებრივი აირის მიწოდების	2020 წლის 31

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ	დეკემბრისთვის
დირექტივა N2009/72/EC ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ, რომლითაც გაუქმდა დირექტივა N 2003/54/EC	2018 წლის 31 დეკემბრისთვის
რეგულაცია N 714/2009 (EC) ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC) N 1228/2003	2018 წლის 31 დეკემბრისთვის
დირექტივა N 2005/89/EC ელექტროენერჯის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ	2019 წლის 31 დეკემბრისთვის
დირექტივა N 85/337/EEC კონკრეტული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზეგავლენის შეფასების შესახებ, რომელშიც ცვლილებები შეტანილია 97/11/EC და 2003/35/EC დირექტივებით.	ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე, აღნიშნული დირექტივა სრულად შესრულდება 2017 წლის 1 სექტემბრისათვის
დირექტივა N 1999/32/EC ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ	ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით

	გათვალისწინებული ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე, აღნიშნული დირექტივა სრულად შესრულდება 2021 წლის 1 სექტემბრისათვის
დირექტივა 2001/80/EC წვის დიდი ქარხნებიდან ზოგიერთი დამაბინძურებლის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების შეზღუდვის შესახებ	2018 წლის 31 დეკემბრისთვის
თავი III, დირექტივა N 2010/75/EU-ის V დანართი სამრეწველო ემისიების შესახებ (დაბინძურების ინტეგრირებული პრევენცია და კონტროლი)	2018 წლის 1 სექტემბრისათვის
დირექტივა N 2010/75/EU-ის მუხლი 72(3)-(4) სამრეწველო ემისიების შესახებ (დაბინძურების ინტეგრირებული პრევენცია და კონტროლი)	2019 წლის 31 დეკემბრისთვის
დირექტივა N 79/409/EC, მუხლი 4(2), გარეული ფრინველების დაცვის შესახებ	2019 წლის 1 სექტემბრისთვის
დირექტივა N 2009/28/EC განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ, რომლითაც ცვლილებები შევიდა და მოგვიანებით გაუქმდა დირექტივა N 2001/77/ EC და დირექტივა N 2003/30/ EC	2018 წლის 31 დეკემბრისთვის
დირექტივა N 2012/27/EU ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელსაც ცვლილებები შეაქვს N 2009/125/EC და N 2010/30/EU დირექტივებში და აუქმებს დირექტივებს N 2004/8/EC და N 2006/32/EC	2018 წლის 31 დეკემბრისთვის
დირექტივა N 2010/30/EU ეტიკეტირების და პროდუქციის შესახებ სხვა სტანდარტული ინფორმაციის მითითებით, ენერგომოხმარების პროდუქტების მიერ ენერჯისა და სხვა წყაროების მოხმარების	2018 წლის 31

ინდიკაციის შესახებ	დეკემბრისთვის
დირექტივა N 2010/31/EU შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ	2019 წლის 30 ივნისისთვის
დირექტივა 2009/119/EC წვერ ქვეყნებზე ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო საცავების უზრუნველყოფის ვალდებულების გავრცელების შესახებ	[2023 წლის 1 იანვრამდე]
დირექტივა 2008/92/EC საბოლოო მომხმარებლებისათვის გაზისა და ელექტროენერჯის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით „გაერთიანების“ პროცედურის შესახებ	[2017 წლის 31 დეკემბრისთვის]
რეგულაცია (EC) No 1099/2008 ენერგოსტატისტიკის შესახებ	[2017 წლის 31 დეკემბრისთვის]

2. ევროკომისიის 2009/72/EC დირექტივისა და 2009/73/EC დირექტივის შესაბამისად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილი მომხმარებლები:

- [31 დეკემბერი 2018] წლიდან, ყველა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი; და
- [31 დეკემბერი 2019] წლიდან, ყველა მომხმარებელი.

3. ხელშეკრულების მე-19 მუხლში, მითითება „ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან [მექვსე თვეს]“ ნიშნავს „საქართველოს გაწევრიანების თარიღიდან [ერთ წელიწადში].“ ხელშეკრულების 22-ე მუხლში, მითითება „სიის მიღების შესახებ [ერთ წელიწადში]“ ნიშნავს საქართველოს გაწევრიანების თარიღიდან [ერთ წელიწადში].“ ხელშეკრულების 29-ე მუხლში, მითითება „ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან [ერთ წელიწადში]“ ნიშნავს საქართველოს გაწევრიანების თარიღიდან [ერთ წელიწადში].“

4. ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესრულება საქართველოსთვის სავალდებულოა საქართველოს გაწევრიანების თარიღიდან [ერთ წელიწადში].

5. სამხრეთ კავკასიის მილსადენი¹ და ჩრდილოეთ-სამხრეთის² მაგისტრალური მილსადენი გათავისუფლებულია ევროკომისიის 2009/73/EC დირექტივისა და (EC) No 715/2009 რეგულაციის მოთხოვნების შესრულებისაგან 2026 წლის 31 აგვისტომდე, „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

6. გაწევრიანების შესახებ წინამდებარე ოქმი არ გავრცელდება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მთავრობათაშორის შეთანხმებაზე, სამხრეთ კავკასიის მილსადენის სისტემის მეშვეობით, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებსა და მის ფარგლებს გარეთ, ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და ვაჭრობის საქმიანობების შესახებ.

7. ამ ოქმის 2(5) და 2(6) მუხლების შესრულებასთან დაკავშირებით, დადასტურებულია, რომ საქართველო გათავისუფლებულია ხელშეკრულების გამოყენებისაგან ბუნებრივი გაზის საზღვართშორისი ტრანსპორტირების (ტრანზიტის) სამართლებრივი და/ან მარეგულირებელი რეჟიმის და/ან ვადებსა და პირობებთან მიმართ, აგრეთვე, სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დადებული მთავრობათაშორისი შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნით გაფორმებული არსებული ხელშეკრულებების ვადებსა და პირობებთან მიმართებაში.

8. „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში, მე-5 პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვის შემდგომ, მოცემული მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებული დებულებები დაექვემდებარება გადახედვას.

მუხლი 3

1. „ენერგეტიკული გაერთიანების“ ბიუჯეტში საქართველოსა და სხვა ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონტრიბუცია განისაზღვრება პროცედურების შესახებ აქტით, რომელიც მიიღება ხელშეკრულების 73-ე მუხლის მიხედვით. გამოყენებული მეთოდოლოგია დაეფუძნება პროპორციონალურ გამოთვლას, მთლიანი შიდა

¹ სამხრეთ კავკასიის მილსადენი ნიშნავს SCP პროექტს, რომელიც განისაზღვრება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მთავრობათაშორისი შეთანხმების მიხედვით

² ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენი არის საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემის ნაწილი, რომელიც მოიცავს 1200/1000 მმ დიამეტრის გაზსადენის სექციებს (როგორც შეიძლება იყოს აღდგენილი, შეკეთებული, შეცვლილი, განახლებული, გადაკეთებული და/ან გადაადგილებული).

პროდუქტისა (GDP) და მთლიანი პირველადი ენერჯის მიწოდების ცვლადების გამოყენებით.

2. საქართველოს მხრიდან პირველი კონტრიბუცია განხორციელდება გაწევრიანებიდან პირველ საბიუჯეტო წელს.

მუხლი 4

1. გაწევრიანების ძალაში შესვლისთვის საჭირო შიდა პროცედურებს საქართველო დაიწყებს „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამაარსებელ ხელშეკრულებაზე საქართველოს მიერთების შესახებ „ენერგეტიკული გაერთიანების“ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემდგომ.
2. „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ საქართველოს გაწევრიანება ძალაში შედის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პროცედურების დასრულების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. შეტყობინება ეგზავნება ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოს, რომელიც იქნება პროტოკოლის დეპოზიტარი.

შესრულებულია სარაევოში, 14 ოქტომბერი, 2016

ენერგეტიკული გაერთიანების სახელით

საქართველოს სახელით

დანართი

ოქმის იმპლემენტაციის შესახებ ერთობლივი განცხადება

1. პროტოკოლით გათვალისწინებული „ენერგეტიკული გაერთიანების“ კანონმდებლობის (acquis communautaire) 2(1) და 2(2) მუხლებში, ხელშემკვრელ მხარეს ან ევროკავშირის წევრ ქვეყანას შორის ენერგორესურსებით საზღვართშორისი ვაჭრობის შესახებ, ჩამოთვლილ პარაგრაფებთან მიმართებაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ფაქტი, რომ საქართველო არ არის პირდაპირ დაკავშირებული რომელიმე ხელშემკვრელი მხარის ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ენერგეტიკულ ქსელთან. საქართველო დაიწყებს მოცემული წესებისა და პრინციპების ამოქმედებას ნემისმიერი ხელშემკვრელი მხარისა ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიმართ მას შემდეგ, რაც იგი ფიზიკურად დაუკავშირდება რომელიმე ხელშემკვრელი მხარის ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ენერგეტიკულ ქსელს. იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც არ არიან „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშემკვრელი მხარე ან ევროკავშირის წევრი ქვეყანა ვაჭრობასთან დაკავშირებული წესები და პრინციპები დარჩება ეროვნული კანონმდებლობის კომპეტენციის საგანი.
2. ხელშეკრულების IV თავის II ნაწილის (კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა) დებულებების ამოქმედებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ საქართველო ამჟამად არის იზოლირებული ბაზარი, რომელსაც არ გააჩნია პირდაპირი ურთიერთდამაკავშირებელი ქსელები „ენერგეტიკული გაერთიანების“ რომელიმე მხარის ენერგეტიკულ ქსელთან. საქართველო ხელს შეუწყობს და გამოიყენებს ამ დებულებებს, როდესაც ხელშემკვრელ მხარეებს შორის ვაჭრობაზე იქნება გავლენა.
3. 2018 წლის 31 დეკემბრისათვის ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ 2009/72/EC დირექტივისა და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების ზომებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელების შესახებ 2005/89/EC დირექტივის შესრულების მიზნით, გათვალისწინებულ იქნება ტესტირებისათვის და შესაბამისი დებულებების მიღებისათვის და ბაზრის ინსტრუმენტებისათვის დამატებით საჭირო ერთწლიანი პერიოდი.
4. ელექტროენერჯის განაწილების ტარიფების განსაზღვრის მიზნით, საქართველომ შესაძლოა გააგრძელოს ინვესტირებთან აღებული ვალდებულებების შესრულება, რომელთან დაკავშირებით ხელშეკრულებები გაფორმდა წინამდებარე ოქმის ხელმოწერამდე. „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულებასთან მოცემული ვალდებულებების პოტენციური შეუთავსებლობების აღმოფხვრის მიზნით

საქართველო სამდივნოსთან ერთად ჩაერთვება საკითხის განხილვაში, არაუგვიანეს 2(1) და 2(2) მუხლების ამოქმედებისა.

5. განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების ხელშეწყობის შესახებ 2009/28/EC დირექტივის იმპლემენტაცია და, შესაძლებლობების ფარგლებში, საქართველოსთვის 2020 წლისთვის განახლებადი ენერჯის სამიზნე დონე განისაზღვრება „ენერგეტიკული გაერთიანების“ სამდივნოს კომპეტენციის ფარგლებში წარმოებული შესაბამისი კვლევის დასრულების შემდეგ.
6. მოცემულ 2001/80/EC, 2012/27/EU, 2009/28/EC, 2010/30/EU და 2010/31/EU დირექტივებთან მიმართებაში, მინისტრთა საბჭოს მიერ შემდეგი გადაწყვეტილებების 2015/08/MC-EnC, 2013/05/MC-EnC, 2012/04/MC-EnC, 2014/02/MC-EnC და 2010/02/MC-EnC საფუძველზე, მიღებულ იქნა საყოველთაო იმპლემენტაციის ვადებისაგან განსხვავებული ვადები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს ექნება ხელშემკვრელი მხარეების მსგავსად ადაპტირებული ვადები, რომელსაც დაემატება 12 თვიანი საშეღავათო პერიოდი. წინამდებარე ოქმის ხელმოწერიდან ერთ თვეში, აღნიშნულ დირექტივებთან მიმართებაში სამდივნო ცხრილის სახით გაწერს საქართველოსთვის სავალდებულო ვადებს.